საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე „ქ. თბილისში, ჯიქიას ქ. №10, სანდრო ეულის ქ. №5-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების №17-18-ის მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობები“.

შ.პ.ს. „ჯეი 3“-ის ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2017 წლის 24 ოქტომბერს შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, ჯიქიას ქ. №10, სანდრო ეულის ქ. №5-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების №17-18-ის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, ჯიქიას ქ. №10, სანდრო ეულის ქ. №5-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების №17-18-ის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს. „ახალი საქქალაქმშენპროექტი“-ს გეოლოგიური განყოფილების მიერ 2017 წლის ოქტომბერში. სამუშაოების უშუალო შემსრულებელი, ინჟინერ-გეოლოგი ნ. ილაშვილი. მათ გეოტექნიკურ ლაბორატორიაშია შესრულებული გრუნტების თვისებების გამოკვლევები და გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზები.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 9 გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1 გვ.
3. მიწერილობა---------- 1 გვ.
4. ცხრილი გრუნტების თვისებებზე---------- 1 გვ.
5. ცხრლი გრუნტის წყლის ქიმიურ შედგენილობაზე, დასკვნით---------- 4 გვ.
6. მოედნის ტოპოგეგმა---------- 1 ფურც.
7. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები---------- 2 ფურც.
8. მოედნის გეოლოგიური ჭრილი ---------- 4 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 7-8 სართულიანი საცხოვრებელი სახლები, ნოლისქვეშა ერთი სართულით. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკველს, მისი კონსტრუქცია და ჩაღრმავება გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 6 ჭაბურღილი, მათი საერთო სიგრძე შეადგენს 63.5 მეტრს. ჭაბურღილებიდან ამოღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ნაყარი გრუნტი;
2. ფენა 2 – თიხნარი ქვისნარის თხელი (10-15 სმ) შუაშრეებით;
3. ფენა 3 – ძირითადი ქანი, არგილითები, გათიხებული, ძლიერ გამოფიტული;
4. ფენა 4 – ძირითადი ქანი, არგილითები, ქვიშაქვების იშვიათი შუაშრეებით, გამოფიტული.

ანგარიშში მოკლედ არის არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და კლიმატური პირობები. მოცემულია ზემოალნიშნული გრუნტების (გარდა ნაყარი გრუნტისა) საინჟინრო გეოლოგიური დახასიათება და მათი ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები. ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე ავტორი იძლევა რეკომენდაციებს მომავალი შენობების ფუძე-გრუნტების შერჩევის თაობაზე.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გახსნილია მიწის ზედაპირიდან 6.0-9.7 მ. სიღრმეზე. დამყარებული დონე 5.5-6.3 მ. წყალი, როგორც გამოკვლევებმა აჩვენა, სუსტად აგრესიულია W_4 წყალშეღწევადობის მარკის ბეტონის მიმართ, დანარჩენ ცემენტებზე დამზადებული ბეტონის ნაკეთობების მიმართ წყალი არ არის აგრესიული.

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, ჯიქიას ქ. №10, სანდრო ეულის ქ. №5-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების №17-18-ის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. ჭოხონელიძე



გვარი, სახელი, მამის სახელი	ჭოხონელიძე გუგა ილიას ძე
ბინის ტელეფონის ნომერი	ქ. თბილისი, კეკელიძის №10, ბინა 25 ტელ.: 2-22-00-44
დაბადების თარიღი	1928 წლის 16 თებერვალი
განათლება	1945 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 12 ვაჟთა სკოლა, 1950 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტ სამშენებლო ფაკულტეტი, მშენებელ-ინჟინერის სპეციალობით, 1972 წელს დავამთავრე იგივე ინსტიტუტი, ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით.
მინიჭებული კვალიფიკაცია	1974 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი) 1975 წელს პროფესორი საინჟინრო გეოლოგიაში (დიპლომი) 2000 წელს საქართველოს საინჟინრო აკადემიის - აკადემიკოსი
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1950-1958 წწ. ჰიდროგეოლოგიისა და მელიორაციის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; 1958-1974წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში; 1983 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტ გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების მიმართულ ხელმძღვანელი
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	გამოქვეყნებულია 98 სამეცნიერო შრომა, მათ შორის მონოგრაფ „საქართველოს ლიოსისებური გრუნტები" (1976წ) და „ამიერკავკასიის ლიოსისებური გრუნტები" (1988 წ.) შესწავლილი და ანგარიშები დაწერილი მაქვს იწგურის ჰიდროელექტროსადგურის, ქ. თბილისის, ქ. რუსთავ სოხუმისა და ქ. ფოთის საინჟინრო „გეოლოგიურ პირობ გავეცნული მაქვს 100-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა მშენებლობა დაკავშირებული ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე. მაქვს გამოგონებები გრუნტების გამაგრებაზე. ვარ ავტორი სახელმძღვანელოებისა: „გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები" 2005 წ. და „ საინჟინრო ნაგებობები" (2012 წ.). ვარ ავტორი სამშენებლო ნორმების: 2.02.01 – 2003 წ. „შენობა-ნაგებობათა ფუძე-საძირკვლები".
უცხო ენების ცოდნა	ქართული - მშობლიური; რუსული - კარგად; ინგლისური - ლექსიკონის დახმარებით

АТТЕСТАТ
ПРОФЕССОРА

Пр № 005702

Москва

Решением
Высшей аттестационной комиссии
при Совете Министров СССР
от 23 ноября 1979 г. (протокол № 39)

присвоено ученое звание

ПРОФЕССОРА

ПО КАФЕДРЕ

гидрогеологии и инженерной геол

Председатель
Высшей аттестационной комиссии

Ученый секретарь
Высшей аттестационной комиссии

დიპლომი

№ 168169

გუგა ილიას ძე

ჭოხონელიძეს

1961 წელს ... ლენინის

სახ. შრომის წითელი დროშის ორდენოსანი

საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

და 1972 ...

ამავე ინსტიტუტის

... ჰიდროგეოლოგია

და საინჟინრო გეოლოგია

... 1972 წ.

30 ივნისის ... დადგენილებით

გ.ი. ჭოხონელიძეს მიენიჭა

სამთო ინჟინერ

ჰიდროგეოლოგის ... კვალიფიკაცია

თბილისი 1973 წ. 2 აპრილი

სარეგისტრაციო № ГЕ-205

საქართველოს რესპუბლიკა

მოქალაქის პირადობის მოწმობა



პირადი № 0102 010539

სახელი გოგა

გვარი ჭოხონელიძე

დაბადების თარიღი 16.02.1928 წ.

დაბადების ადგილი თბილისი

ეროვნება ——

№ დ 0266413

პირადი ხელმოწერა

მისამართი ——

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება თბილისის საბურთალოს რაიონის შ.ს. მეორე ქვეგანყოფილება

გაცემის თარიღი 29.09.2000 წ.

მოქმედების ვადა ——

ბ.ა. ორგანოს ხელმძღვანელის ხელმოწერა

ხელშეკრულება

მომსახურების შესახებ

მუხლი 1. ხელშეკრულების დადების ადგილი და დრო

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ქ. თბილისში 2017 წლის 20 ოქტომბერს.

მუხლი 2. ხელშეკრულების მხარეთა იურიდიული სტატუსი

ხელშეკრულების მხარეები არიან:

ერთის მხრივ შ.პ.ს. „ჯეი3" საიდენტიფიკაციო კოდი: 405 057 307; წარმოდგენილი მისი დირექტორის, დავით საგანელიძის სახით, შემდგომში „დამკვეთი",

მეორეს მხრივ გუგა ჭოხონელიძე პ/ნომერი 01026010539; შემდგომში „შემსრულებელი",

მუხლი 3. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულებით შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას, გაუწიოს დამკვეთს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, ხოლო დამკვეთი ვალდებულია გადაუხადოს შემსრულებელს შეთანხმებული საზღაური.

მუხლი 4. მომსახურების სახე

4.1. შემსრულებელი განახორციელებს **გეოლოგიური კვლევის ექსპერტიზას** (შემდგომში მომსახურება)

მუხლი 5 მომსახურების ღირებულება

5.1 მომსახურების ღირებულებაა: **300 (სამასი)** ლარი **00** თეთრი (საშემოსავლოს გადახდის გარეშე)

მუხლი 6. მომსახურების საფასურის გადახდის წესი

6.1 სახელშეკრულებო თანხის გადახდა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ქვემოთმითითებულ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით:

სს „ლიბერთი ბანკი", ანგარიშსწორების ანგარიში: **GE24 LB07 1110 8240 4053 40**

6.2

მუხლი 7. გაწეული მომსახურეობის მიღება და ვადები

7.1 4.2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურება დაწყების ვადაა: 20.10.2017წ.

7.2 4.2. მუხლით გათვალისწინებული მომსახურების დასრულების ვადაა: 24.10.2017წ.

7.3 გაწეული მომსახურეობის მიღების ადგილია: **ქ. თბილისი, ჯიქიას ქ. №10**

7.4 მომსახურების მიღება გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით.

7.5 მომსახურება მიღებულად ითვლება, ასევე, თუ დამკვეთი არამართლზომიერად დააყოვნებს ან არამართლზომიერად უარს იტყვის მის მიღებაზე.

მუხლი 8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1 მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მხარეებს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

8.3 მომსახურების გაწევის ხელშეკრულების 7.1. მუხლით დადგენილი ვადის გადაცილების შემთხვევაში დამკვეთს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსრულებელს პირგასამტეხლო, სახელშეკრულებო თანხის 0.5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.4 სახელშეკრულებო თანხის გადახდის ხელშეკრულების 7.2. მუხლით დადგენილი ვადის გადაცილების შემთხვევაში შემსრულებელს უფლება აქვს მოსთხოვოს დამკვეთს პირგასამტეხლო, სახელშეკრულებო თანხის 0.5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.5 შემსრულებელი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის რაც შეიძლება მიადგეს დამკვეთს ან მესამე პირს მის მიერ უხარისხოდ გაწეული მომსახურების გამო.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

9.1 წინამდებარე მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

9.2 "დაუძლეველი ძალის" ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ. კერძოდ, წყალდიდობა, მიწისძვრა, აფეთქებები, ხანძარი, ავარია, ომი და საომარი მოქმედებები, ბლოკადა, გაფიცვები. კანონმდებლობის ცვლილებები, რომლებიც აუარესებენ წინამდებარე ხელშეკრულებას, სუბიექტების სამართლებრივ სტატუსსა და რეჟიმს. თუ ნებისმიერმა ზემოთ ნახსენებმა გარემოებებმა უშუალოდ იმოქმედეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროის თანაბარზომიერად გაიზრდება.

9.3 მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ ყველა შემთხვევაში არაუგვიანეს ხუთი დღისა ამ გარემოებების დადგომიდან და დასრულებიდან, აცნობოს მეორე მხარეს.

9.4 შეუტყობინებლობისა და დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს. შეტყობინებაში მითითებული ფაქტები შემდგომში უნდა დასტურდებოდეს.

9.5 თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 1 თვეზე მეტ ხანს, მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ ხელშეკრულების ბედი; თუ მხარეები ვერ მიაღწევენ კომპრომისულ შეთანხმებას, დავას განიხილავს სასამართლო ან კერძო არბიტრაჟი მხარეთა შეთანხმებისამებრ.

მუხლი 10. ხელშეკრულების შესრულების ვალდებულება

10.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

მუხლი 11. დავები

11.1 მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით.

11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქმეს განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან კერძო არბიტრაჟი მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 12. დამატებითი პირობები

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლიარად. ერთი ინახება შემკვეთთან, მეორე – შემსრულებელთან.

12.2 ყველა ცვლილება და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში ნამდვილია, მისი წერილობითი გაფორმებისა და მხარეთა ხელმოწერის შემთხვევაში.

მუხლი 13. მხარეთა ხელმოწერები

დამკვეთის მხრიდან:
დ.საგანელიძე ----------

შემსრულებლის მხრიდან:
გ.ჭოხონელიძე ----------

შპს "ჯეი3"

თარიღი:	24	ოქტომბერი

მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი

ერთის მხრივ შპს "ჯეი3" წარმოდგენილი მისი დირექტორის **დავით საგანელიძის** სახით, შემდგომში "დამკვეთი"	მეორეს მხრივ ფიზიკური პირი შემდგომში "შემსრულებელი" გუგა ჭოხონელიძე

ვადგენთ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ შემსრულებელმა შეასრულა, ხოლო დამკვეთმა მიიღო მხარეთა შორის დადებული მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, კერძოდ:

გეოლოგიური კვლევის ექსპერტიზა

ჯამში შესრულ. სამუშაოს ღირებულებამ (საშემოსავლო გადასახადის გარეშე) შეადგინა:

300.00 ლარი

ჯამში შესრულ. სამუშაოს ღირებულებამ (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით) შეადგინა:

375.00 ლარი

შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების ადგილია:

ქ. თბილისი, ჯიქიას ქ. №10

ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო

ხელმოწერა დამკვეთის მხრიდან

ხელმოწერა შემსრულებლის მხრიდან